პრეს-რელიზი

2011 წლის 1 თებერვალს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტთან არსებული ევროპისმცოდნეობის ინსტიტუტი შეთანხმდებიან ითანამშრომლონ 4 ძირითადი პუნქტის გათვალისწინებით:

1.საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, რაც განპირობებულია კანონშემოქმედებითი საქმიანობის გამჭვირვალეობით, სამართლებრივ დონეზე საჯაროობის პრინციპების განმტკიცებით და საზოგადოების ჩართულობით საკანონმდებლო პროცესებში, ერთობლივად იმუშაონ.

2.მხარეები მზადყოფნას გამოთქვამენ მათ ხელთ არსებული ან სამომავლოდ მოძიებული მატერიალური და ადამიანური რესურსების გამოყენებით ორგანიზება გაუწიონ ერთმანეთთან ურთიერთობის გასაღრმავებლად ორგანიზებულ ღონისძიებებს და იმ კანონპროექტების ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის ანალიზის მომზადებას, რომლებზეც კომიტეტის დასკვნა სავალდებულოა.

3.მემორანდუმი მიზნად ისახავს მხარეების საკანონმდებლო და საკონსულტაციო პოტენციალის აქტიურ და ორივე მხარისათვის სასარგებლო გამოყენებას საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების აქტუალურ საკითხებზე.

4.ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი ევროპისმცოდნეობის ინსტიტუტს შესაძლებლობებისა და კომპეტენციის ფარგლებში გაუწევს ექსპერტულ მხარდაჭერას მაგისტრანტებისა და დოქტორანტების მომზადებაში.

ხელის მომწერი მხარეები:

1. **დავით დარჩიაშვილი** – საქართველოს პარლამენტიდ ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე;
2. **ნინო ლაპიაშვილი - თსუ** ევროპისმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი;
3. **ალექსანდრე კვიტაშვილი -**თსუ რექტორი.